

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მართვის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე დებულება არეგულირებს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) მართვასთან და უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის - კანცლერისთვის დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მუხლი 2. უნივერსიტეტის მართვა და მართვის პრინციპები

1. უნივერსიტეტის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს დამფუძნებელი. უნივერსიტეტის სრული ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით სარგებლობს უნივერსიტეტის დირექტორი (შემდგომში - დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენელი).
2. უნივერსიტეტის აკადემიურ და სასწავლო-სამეცნიერო სფეროს ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის რექტორი.
3. უნივერსიტეტს ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების სფეროში ხელმძღვანელობს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი.
4. უნივერსიტეტის მართვა ხორციელდება გამჭვირვალობის, ღიაობის, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვით, რაც ემსახურება მართვის ეფექტიანი მექანიზმის შექმნას.
5. უნივერსიტეტის მართვა ხორციელდება უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის მკვეთრად გამიჯნული ფუნქციების საფუძველზე.

მუხლი 3. რექტორის უფლებამოსილება

1. უნივერსიტეტის რექტორი უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული ფუნქციების გარდა უფლებამოსილია:
 - ა) დამფუძნებლის სრულუფლებიან წარმომადგენელთან ზეპირი შეთანხმების საფუძველზე თანამდებობაზე დანიშნოს და გაათავისუფლოს საშტატო განრიგის შესაბამისად მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები (გარდა სკოლების დეკანებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისა), ასევე მათთან გააფორმოს შესაბამისი შრომის ხელშეკრულებები.
 - ბ) დამფუძნებლის სრულუფლებიან წარმომადგენელს წარუდგინოს სკოლის დეკანის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდიდატურა თანამდებობაზე დასანიშნად/გასათავისუფლებლად;

- გ) დადგენილი წესის შესაბამისად დანიშნოს/გაათავისუფლოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და მათთან გააფორმოს შრომის ხელშეკრულებები;
 - დ) დამფუძნებლის სრულუფლებიან წარმომადგენელთან ზეპირი შეთანხმების საფუძველზე შრომის ხელშეკრულებები გააფორმოს მოწვეულ პერსონალთან;
 - ე) გამოსცეს ბრძანებები შვებულების/მივლინების/დისციპლინური პასუხისმგებლობის/წახალისების (გარდა პრემიისა) მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების მიმართ;
 - ვ) გასცეს ცნობები მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის დასაქმების შესახებ;
 - ზ) შექმნას საკონკურსო კომისიები;
 - თ) ხელი მოაწეროს სტუდენტთა ცნობებს;
 - ი) გამოსცეს ნებისმიერი ბრძანება, რაც დაკავშირებულია სასწავლო პროცესის განხორციელებასთან.
2. უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია განახორციელოს უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტებით მისთვის განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებებიც.

მუხლი 4. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის - კანცლერის უფლებამოსილება

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - კანცლერი უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული ფუნქციების გარდა უფლებამოსილია:
- ა) დამფუძნებლის სრულუფლებიან წარმომადგენელთან ზეპირი შეთანხმების საფუძველზე თანამდებობაზე დანიშნოს და გაათავისუფლოს საშტატო განრიგის შესაბამისად მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები, ასევე მათთან გააფორმოს შესაბამისი შრომის ხელშეკრულებები;
 - ბ) გამოსცეს ბრძანებები შვებულების/მივლინების/დისციპლინური პასუხისმგებლობის/წახალისების (გარდა პრემიისა) მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების მიმართ;
 - გ) გამოსცეს ბრძანებები თანამშრომელთა მატერიალური დახმარების შესახებ;
 - დ) გასცეს ცნობები მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების დასაქმების შესახებ, ასევე სტუდენტთა ცნობები;
 - ე) გააფორმოს მომსახურების/შესყიდვის და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ხელშეკრულებები.
2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი უფლებამოსილია განახორციელოს უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტებით მისთვის განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებებიც.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულებით დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისთვის -

კანცლერისთვის უფლებამოსილებების დელეგირება არ გამორიცხავს დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ უნივერსიტეტის წესდებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელების შესაძლებლობას.

2. წინამდებარე დებულებაში ცვლილების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 6. გარდამავალი დებულებები

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - კანცლერი უფლებამოსილია თანამდებობიდან გაათავისუფლოს იმ სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები, რომლებიც ამ დებულების ძალაში შესვლამდე იმყოფებოდნენ მის დაქვემდებარებაში.